მშენებლობის ორგანიზები პროექტი.

მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია

საქართველოს მთავრობის N 255 31.05.2019 წ. დადგენილების მიხედვით.

ობიექტის დასახელება;

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

ობიექტის მისამართი;

ქალაქ თბილისი, სიონის ქ N 8

ს/კ N 01.18.03.046.013

ობიექტის მოსარგებლე;

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მშენებლობის ორგანიზების პროექტის

შემსრულებელი: ნინო აფხაიძე

2024 წელი

მშენებლობის ორგანიზები პროექტის შემადგენლობა:

1. განმარტებითი ბარათი.
2. სამშენებლო ობიექტზე მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა
3. სამშენებლო სამუშაოების რიგითობის და ეტაპებისა მათი ხანგრძლივობის აღწერა.
4. დაფარული სამუშაოების ჩამონათვალი.
5. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდებისა და ღონისძიებების აღწერა.
6. გარემოს დაცვის ღონისძიებები
7. მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკი.

1. განმარტებითი ბარათი

პროექტი წარმოადგენს ქალაქ თბილისში, სიონის ქუჩა N8 მდებარე ქარვასლის ტერიტორიის ნაწილს, ს/კ N 01.18.03.046.013. რომლის საერთო ფართი შეადგენს 12794 მ2.

აღნიშნული ქარვასლა წარმოადგენს სიონის ქუჩასა და მტკვრის სანაპიროს შორის რელიეფზე განტავშებულ შენობას, რომლის მთავარი შესასვლელი განთავსებულია სიონის ქუჩის მხრიდან.

წინამდებარე მშენებლობის ორგანიზების პროექტის ტექსტში მთავარი შესასვლელი დონე ეთანაბრება შენობის პირველ სართულის დონეს. ხოლო არქიტექტურულ პროექტის მიხედვით პირობით 0.00 ნიშნულს - იხილეთ ჭრილი 1-1.

პროექტის მიზანია ქარვასლის შენობის პირველ და მეორე სართულებზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

იმის გათვალისწინებით, რომ შენობის სხვადასხვა სართულებზე განთავსებული სივრცეების ფუნქციონირება ორიენტირებულია სხვადასხვა დანიშნულებით, მათ შორის სამუშაო საათების სხვადასხვა რეჟიმზე, პროექტის რეალიზება უნდა მოხდეს სპეციფიკური სამშენებლო გრაფიკით.

კერძოდ; სარეაბილიტაციო სართულებზე სამუშაოს წარმოების პარარელურად სამუშაო საათებში იფუნქციონირებს შენობის მინუს ერთი და ორი სართულები, რის გამოც მშენებლობის წარმოებისას საჭიროა უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების განსაკუთრებულად დაცვა.

სამშენებლო სამუშაოების რიგითობა და ეტაპები, მათი აღწერა და სამუშაოს ხანგრძლივობა.

ქარვასლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება იყოფა ორ რიგად და ოთხ ეტაპად.

პირველი რიგის სამუშაოები:

I ეტაპი

1. ობიექტზე წინასწარი სამუშაოები და მისი სამშენებლოდ მომზადება.

1.2 დროებითი სათავსების მოწყობა:

გასახდელები, მცირე ზომის საწყობი, სამუშაოს მწარმოებლის ოთახი- 5 დღე

1.2 სარეაბილიტაციო სართულების აივნებზე და კიბეზე უსაფრთხოებისა და სამშენებლო მტვერის შეკავების მიზნით, სპეციალური დამცავი ბადეების მოწყობა. მათ შორის, სამშენებლო საზღვრების დროებით შემოფარგვლა.5 დღე

II ეტაპი

2. ძირითადი სააშენებლო სამუშაოები.

2.1 შენობის პირველ სართულზე-მთავარ შესასვლელის სივრცეში, ჭერზე და კედლებზე მუყაო-თაბაშირის ფილების მოხსნა და კედლებიდან სარკეების დემონტაჟი- 10 დღე

2.2 შენობის პირველ და მეორე სართულის აივნებზე ცემენტის ხსნარისა და მეტლახის ფილების მოხსნა-30 დღე

2.3 პირველ და მეორე სართულის ყველა სარეაბილიტაციო სივრცეების, დაზიანებული არაარსებითი ელემენტებისაგან გათავისუფლება- 5 დღე

2.4 შენობის პირველ და მეორე სართულებზე აივნისა და კიბის ლითონის მოაჯირებზე დაზიანებული საღებავებისაგან გასუფთავება , -20 დღე

2.5 შენობის პირველ და მეორე სართულის აივნებისა და საგამოფენო სივრცეების გამყოფ კედლებში არსებული ხის კარ-ფანჯრებზე ძველი საღებავების მოხსნა - 20 დღე

მე-2 რიგის სამუშაოები:

III ეტაპი

2. მოსაპირკეთებელი და სამონტაჟო სამუშაოები.

3.1 შენობის პირველ მეორე სართულის აივანზე კერამიკული ფილების დაგება -45 დღე

3.2 შენობის პირველ და მეორე სართულის აივნისა და კიბის მოაჯირების ზედაპირების დამუშავება და შეღებვა-30 დღე

3.3 შენობის პირველ და მეორე სართულის აივნისა და საგამოფენო სივრცეების გამყოფ კედლებში არსებული ხის კარ-ფანჯრების ბუნებრივი ხის ფაქტურის აღდგენა და მათი დამცავი ლაქებით სათანადოთ დამუშავება -45 დღე

3.4 საგამოფენო სივრცეებში პარკეტის იატაკის დაგება, მოხვეწვა და დამცავი ლაქებით დაფარვა -55 დღე

3.5 სარეაბილიტაციო სივრცეებში კედლებისა და ჭერის სამღებრო სამუშაოები -65 დღე

IV -ეტაპი

3. ობიექტის დასუფთავება

4.1 მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დროებითი ხელსაწყოების დემონტაჟი 5 დღე

4.2 სამშენებლო სივრცეებისა და ტერიტორიის დასუფთავება და ექსპლოატაციისთვის მომზადება.-5 დღე

4. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდებისა და ღონისძიებების აღწერა.

4.1 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ობიექტზე, კერძოდ შენობის სარეაბილიტაციო ზონაში უცხო პირთა ყოფნა დაუშვებელია.

4.2 მშენებლობაზე უსაფრთხოებისა და ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, ობიექტზე მყოფ მუშა-მოსამსახურე პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი.

4.3 უსაფრთხოების ღონისძიებები დაცული უნდა იყოს სამშენებლო-სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ lll_4_80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიული-საკანონმდებლო მითითებების შესაბამისად.

4.4 სამუშაო ადგილები, მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

4.5 ადვილად აალებადი სამღებრო და სხვა მასალების დღიური რაოდენობა, სამუშაოს წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნების შესაბამისობას.

4.6 სამშენებლო მასალათა დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობის გათვალისწინებით.

4.7 ელექტრო უსაფრთხოების წესები დაცული უნდა იყოს 12.1.88 სტანდარტის მიხედვით, ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები უნდა იყოს იზოლირებული.
დაზიანებული ან/და გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

4.8 აკრძალულია ელექტრო მოწყობილობების გადადგილება მისი ელექტროკვებიდან გამორთვის გარეშე.
სამუშაოების დამთავრების შემდგომ ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად ინახება.

4.9 სამუშაოები უნდა წარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლისა და ობიექტზე დანიშნული უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობით.

6.0 ნაგვის გატანა ობიექტიდან უნდა მოხდეს პერიოდულად სპეციალური ავტოთვითმცლელის გამოყენებით.

5. გარემოს დაცვის ღონისძიებები

5.1 მშენებლობის ყველა ეტაპზე საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს გარემოს დაცვითი საკითხებზე, მოქმედი საკანონდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობის გათვალისწინება.

5.2 მშენებლობის პროცესში სავალდებულოა, სამშენებლო ტერიტორიის დამტვერიანების საწინააღდეგო ღონისძიებების გატარება.

5.3 დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ქსელში ბეტონის ან/და გარემოსათვის საზიანო ხნარების ჩარეცხვა.

5.4 მშენებლობის პროცესში სავადებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოს წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედებები,

ასევე საჭიროა უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალის წარმოება.

7. სამშენებლო ობიექტის გეგმა.

იხილეთ გრაფიკული ნახაზები პროექტის ალბომში

8. მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკი.

იხილეთ გრაფიკული ცხრილი დამატებით.



ხელმოწერა

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების   განხორციელების კალენდარულ გრაფიკი.

პოზიციები მოპ-დან	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ	რაოდ	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	V I თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე
				5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5 5	5 5 5 5 5
I რიგის სამუშაოები მოიცავს **I** და **II** ეტაპებს												
I ეტაპი ობიექტზე წინასწარი სამუშაოები და მისი სამშენებლოდ მომზადება												
1.1	დროებითი სათავსების მოწყობა: გასახდელები, სამუშაოს მწარმოებლის ოთახი	დღე	5									
1.2	სარეაბილიტაციო სართულების აივნებზე, უსაფრთხოებისა და სამშენებლო მტვერის შეკავების მიზნით, სპეციალური დამცავი ბადეების მოწყობა. მათ შორის, სამშენებლო საზღვრების დროებით შემოფარგვლა.	დღე	5									
II ეტაპი ძირითადი სააშენებლო სამუშაოები												
2.1	შენობის პირველ სართულზე-მთავარ შესასვლელის სივრცეში, ჭერზე და კედლებზე მუყაო-თაბაშირის ფილების მოხსნა და კედლებიდან სარკეების დემონტაჟი- 10 დღე											
2.2	შენობის პირველ და მეორე სართულის აივნებზე ცემენტის ხსნარისა და მეტლახის ფილების მოხსნა-30 დღე											
2.3	პირველ და მეორე სართულის ყველა სარეაბილიტაციო სივრცეების, დაზიანებული არაარსებითი ელემენტებისაგან გათავისუფლება- 5 დღე											
2.4	შენობის პირველ და მეორე სართულებზე აივნისა და კიბის ლითონის მოაჯირებზე დაზიანებული საღებავებისაგან გასუფთავება , -20 დღე											
2.5	შენობის პირველ და მეორე სართულის აივნებისა და საგამოფენო სივრცეების გამყოფ კედლებში არსებული ხის კარ-ფანჯრებზე ძველი საღებავების მოხსნა - 20 დღე											
II რიგის სამუშაოები მოიცავს III და IV ეტაპებს												
III ეტაპი მოსაპირკეთებელი და სამონტაჟო სამუშაოები												
3.1	შენობის პირველ მეორე სართულის აივანზე კერამიკული ფილების დაგება -45 დღე											
3.2	შენობის პირველ და მეორე სართულის აივნისა და კიბის მოაჯირების ზედაპირების დამუშავება და შეღებვა-30 დღე											
3.3	შენობის პირველ და მეორე სართულის აივნისა და საგამოფენო სივრცეების გამყოფ კედლებში არსებული ხის კარ-ფანჯრების ბუნებრივი ხის ფაქტურის აღდგენა და მათი დამცავი ლაქებით სათანადოთ დამუშავება -45 დღე											
3.4	საგამოფენო სივრცეებში პარკეტის იატაკის დაგება, მოხვეწვა და დამცავი ლაქებით დაფარვა -55 დღე											
3.5	სარეაბილიტაციო სივრცეებში კედლებისა და ჭერის სამღებრო სამუშაოები -65 დღე											
IV ეტაპი მოსაპირკეთებელი და სამონტაჟო სამუშაოები												
4.1	მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დროებითი ხელსაწყოების დემონტაჟი 5 დღე											
4.2	სამშენებლო სივრცეებისა და ტერიტორიის დასუფთავება და ექსპლოატაციისთვის მომზადება.-5 დღე											

შემსრულებელი ნ. აფხაიძე